

ტესტი №1 (რიცხვები 100 000-ის ფარგლებში)

- რომელია უდიდეს სამნიშნა რიცხვზე 3 ოცეულით ნაკლები?
1) 939 2) 929 3) 969 4) 996
- რიცხვი 1134 სანდრომ ასე გამოსახა: $\bigcirc\Delta\square\square\square\|\|\|\|$. როგორ გამოსახავდა სანდრო რიცხვ 2325-ს?
1) $\bigcirc\Delta\Delta\square\square\|\|\|\|$ 3) $\bigcirc\bigcirc\Delta\Delta\Delta\square\square\|\|\|\|$
2) $\Delta\Delta\Delta\square\|\|\|\|$ 4) $\bigcirc\Delta\Delta\square\square\square\|\|\|\|$
- რომელია თანრიგების ჯამის სახით ჩაწერილი?
1) $8075 = 8000 + 60 + 15$ 3) $8075 = 8060 + 15$
2) $8075 = 8000 + 70 + 5$ 4) $8075 = 8000 + 75$
- რომელი რიცხვები შეგვიძლია შევადაროთ?
1) 73^* და $*14$ 2) $***$ და 121 3) 2^*3 და 86^* 4) $*1^*$ და $*5^*$
- რამდენი ლუწი რიცხვია 2152-სა და 2160-ს შორის?
1) 6 2) 4 3) 5 4) 3
- როგორ შეიცვლება ხუთნიშნა რიცხვი, თუ მის ათასეულების ციფრს 8-ს შევცვლით 5-ით?
1) გაიზრდება 8000-ით 3) გაიზრდება 3000-ით
2) შემცირდება 8000-ით 4) შემცირდება 3000-ით
- რიცხვში 2857 რამდენი ასეულია? რამდენი ათეულია? რამდენი ერთეულია? რამდენი ათასეულია?

8. დაწერე ციფრებით:

- ✿ ათას ხუთას ორმოცდაჩვიდმეტი;
- ✿ ოთხი ათას შვიდას ჩვიდმეტი;
- ✿ ოცდასამი ათას ორმოცი;
- ✿ სამოცდაცხრა ათას ცხრაას სამოცდაერთი


9. მოცემული რიცხვებიდან 1199, 1105, 1200, 2300, 1418, 1122, 1215, ბეჭამ გადახაზა კენტი რიცხვები, ლუკამ კი მრგვალი რიცხვები. რას უდრის დარჩენილი რიცხვების ჯამი?

10. ჩაწერე სიტყვებით რიცხვები:

1257 -
3516-

21314 -
92909-


11. ჩასვი სათანადო რიცხვები:



12. დაწერე კლების მიხედვით: 3944; 3004; 1257; 2403; 4003; 1525. რომელი რიცხვი იქნება პირველ ადგილზე? ბოლო ადგილზე? შუაში?

ტესტი №2 (შეკრება-გამოკლება 100 000-ის ფარგლებში)

- რამდენი ასეული უნდა მივუმატოთ რვა ხუთეულს, რომ მივიღოთ ორმოცდაათოთხმეტი ათეული?
 - 1) 5
 - 2) 6
 - 3) 7
 - 4) 8
- რომელი რიცხვია 8 ათასეულზე 3 ასეულით ნაკლები?
 - 1) 5000
 - 2) 5070
 - 3) 7007
 - 4) 7700
- რომელი წინადადებაა სწორი?
 - 1) 3 ათასეულის, 7 ხუთეულისა და 9 სამეულის ჯამია 3079
 - 2) 7 ასეულის, 9 შვიდეულისა და 2 ხუთეულის ჯამია 792
 - 3) 8 ათასეულის, 7 სამეულის და 5 ათეულის ჯამია 8071
 - 4) 9 ასეულის, 8 ათეულის და 3 ხუთეულის ჯამია 983
- წიგნში მოთხრობა იწყება 137-ე გვერდზე და მთავრდება 196-ე გვერდზე. რამდენგვერდიანია მოთხრობა?
 - 1) 59
 - 2) 60
 - 3) 61
 - 4) 62
- ჩამოთვლილთაგან, რომელი რიცხვის ათასეულებამდე დამრგვალებით მიიღება 5000?
 - 1) 4099
 - 2) 5701
 - 3) 5602
 - 4) 4871
- რა რიცხვი უნდა ეწეროს ბოლო მართკუთხედში, რომ ოთხივე მართკუთხედში რიცხვების ჯამი იყოს 2600?



- 1) 300
- 2) 600
- 3) 800
- 4) 900

7. ჩაწერე რიცხვები ჯამის სახით ისე, როგორც გვესმის წაკითხვისას:
 457; 939; 896; 11277; 45598.
 (მაგალითად, $236 = 200 + 20 + 16$).

8. აღმოაჩინე კანონზომიერება და ჩაწერე გამოტოვებული რიცხვი ცარიელ უჯრაში:



9. შეასრულე შეკრება და მიღებული ჯამი დაამრგვალე ათასეულეებამდე:

$$\begin{array}{ll} 7824 + 1215; & 1114 + 2111; \\ 3415 + 2784; & 7428 + 1281; \end{array}$$

10. შეასრულე ქვეშიწერით გამოკლება:

$$\begin{array}{r} 9236 \\ - 354 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 7418 \\ - 854 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 1416 \\ - 412 \\ \hline \end{array} \quad \begin{array}{r} 957 \\ - 854 \\ \hline \end{array}$$

11. ჩასვი წრეში $>$, $<$ ნიშნები:

$$\begin{array}{l} 1751 + 2352 \bigcirc 784 + 296; \\ 352 + 1457 \bigcirc 2134 + 1321; \\ 2714 - 312 \bigcirc 1317 - 284. \\ 8521 + 1253 \bigcirc 3134 + 9324; \end{array}$$

12. ნანამ გადანომრა წიგნის გვერდები და ამისათვის გამოიყენა 129 ციფრი. რამდენგვერდიანია წიგნი?


ტესტი N3 (გამრავლება-გაყოფა)

- რა ციფრი უნდა ეწეროს ცარიელ უჯრაში: $7 \square 8 \cdot 11 = 8338$?
1) 6 2) 7 3) 5 4) 4
- რამდენია ისეთი სამნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ნამრავლია 5?
1) 6 2) 5 3) 4 4) 3
- რამდენი 0-ით ბოლოვდება 1-დან 20-მდე რიცხვების ნამრავლი?
 $1 \cdot 2 \cdot 3 \cdot 4 \cdot \dots \cdot 20$
1) ერთი ნულით 3) სამი ნულით
2) ორი ნულით 4) ოთხი ნულით
- რომელი გამოსახულების მნიშვნელობაა 5-ის ტოლი?
1) $7200 : 100 : 36$ 3) $8000 : 100 : 16$
2) $3600 : 100 : 6$ 4) $5000 : 100 : 5$
- რომელი წინადადებაა სწორი?
1) რიცხვის 0-ზე ნამრავლი ამ რიცხვის ტოლია
2) რიცხვის 1-ზე ნამრავლი ამ რიცხვზე ნაკლებია
3) რიცხვის 0-ზე ნამრავლი 0-ის ტოლია
4) რიცხვის 1-ზე ნამრავლი ამ რიცხვზე მეტია
- ორი ათასეული გაამრავლეს შვიდ ოცეულზე და მიიღეს:
1) 280 2) 2800 3) 28000 4) 280000
- გამოთვალე ნამრავლი სხვადასხვა ხერხით:
 $5 \cdot (3 + 17)$; $(13 + 7) \cdot 9$; $8 \cdot (15 + 10)$; $(9 + 4) \cdot 10$.
- მოცემული რიცხვები შეამცირე 100-ჯერ:
870000, 4500, 63000, 950000.

9. ერთ თაროზე 15 წიგნია, მეორეზე კი 10-ჯერ მეტი. რამდენი წიგნია მეორე თაროზე? ორივე თაროზე?
10. 150 კაკალი ბავშვებს ისე გაუნაწილეს, რომ თითოეულს ერგო 30 კაკალი. რამდენ ბავშვს ერგო კაკალი?
11. ნიკომ ერთ დღეს წაიკითხა 120 გვერდი, ხოლო მეორე დღეს 4-ჯერ ნაკლები. ნიკოს კიდევ წასაკითხი დარჩა 80 გვერდი. რამდენგვერდიანია წიგნი?
12. რა რიცხვი უნდა გავყოთ 8-ზე, რომ:
- ✿ განაყოფი იყოს 5 და ნაშთი 3?
 - ✿ განაყოფი იყოს 10 და ნაშთი 7?
 - ✿ განაყოფი იყოს 12 და ნაშთი 6?

ტესტი N4 (მთელი და ნაწილი)

1. რომელი წილადი გამოსახავს დაშტრისულ ნაწილს?



- 1) $\frac{1}{5}$ 2) $\frac{1}{6}$ 3) $\frac{1}{7}$ 4) $\frac{1}{8}$

2. საზამთრო გაჭრეს 3 ტოლ ნაწილად. თითოეული ნაჭერი მთელი საზამთროს მერამდენედი ნაწილია?

- 1) მეორედი 2) მესამედი 3) მეოთხედი 4) მეხუთედი




3. 720-ისა და 180-ის სხვაობის მესამედი ტოლია:

- 1) 120 2) 140 3) 160 4) 180


4. რომელი წინადადებაა სწორი?

- 1) 8 საათი არის დღე-ღამის მეოთხედი
2) 15 წუთი არის 1 საათის მეხუთედი
3) 1 დღე არის კვირის მერვედი
4) 1 თვე არის წელიწადის მეთორმეტედი


5. ნოემ ბაზარში დახარჯა თავისი თანხის ნახევარი, დარჩენილი თანხის ნახევარი კი გასართობ ცენტრში და ამის შემდეგ მას დარჩა 100 ლარი. რომელი შეესაბამება ნოეს დახარჯულ თანხას?



6. რომელი არღვევს კანონზომიერებას?



7. რომელი გვიჩვენებს $\frac{1}{8}$ ნაწილს?



8. ირაკლიმ 100-გვერდიანი წიგნის მეოთხედი წაიკითხა. ამ წიგნის რამდენი გვერდი წაიკითხა ირაკლიმ? რამდენი გვერდი დარჩა წასაკითხი?


9. ნიკამ და ნინომ ერთნაირი ვაშლები მიირთვეს. ნიკამ შეჭამა ვაშლის ნახევარი, ხოლო ნინომ ვაშლის მესამედი. ვის მეტი ვაშლი შეუჭამია, ნიკას თუ ნინოს? შეეცადე, გამოსახო წრეების საშუალებით.

10. ნიკამ 240 ლარის მერვედი გადასახადებში გადაიხადა. რამდენი ლარი დახარჯა ნიკამ? რამდენი ლარი დარჩა ნიკას?


11. გვიჩვენებთ ყვავილების რა ნაწილია? იხილეთ ყვავილების რა ნაწილია?



12. გააფერადე ფიგურის ქვემოთ მითითებული ნაწილები:



$$\frac{2}{3}$$



$$\frac{9}{16}$$




$$\frac{3}{4}$$



$$\frac{2}{2}$$


ტესტი N5 (გეომეტრიული ფიგურები)

1. დიდი კვადრატის გვერდზე მიადგეს სამი ერთნაირი პატარა კვადრატი, ისე როგორც სურათზეა გამოსახული. ერთი პატარა კვადრატის პერიმეტრი 24 დმ-ია. რას უდრის დიდი კვადრატის პერიმეტრი?



- 1) 78 2) 76 3) 74 4) 72


2. მართკუთხა პარალელებიპედს აწერია მისი სამივე განზომილება. რას უდრის ამ მართკუთხა პარალელებიპედის ყველაზე დიდი წახნაგის პერიმეტრი?




- 1) 28 სმ 2) 30 სმ 3) 32 სმ 4) 35 სმ

დააკვირდი, რა ფიგურას გვაძლევს მოცემული მართკუთხედების თანაკვეთა?

- 3.



4. A წერტილიდან B წერტილამდე მანძილი 700 მ-ია. რას უდრის მანძილი C წერტილიდან D წერტილამდე?




- 1) 560 მ 2) 540 მ 3) 650 მ 4) 640 მ


5. დახაზე მართკუთხედი, დააწერე წვეროებს ასოები და დაასახელე ამ მართკუთხედის:

- ❖ მოპირდაპირე წვეროები;
- ❖ მოპირდაპირე გვერდები;
- ❖ მეზობელი გვერდები;
- ❖ არამეზობელი გვერდები;
- ❖ ერთ გვერდთან მდებარე კუთხეები


6. გამოთვალე სურათზე გამოსახული ტეხილის სიგრძე:




7. კვადრატის, რომლის პერიმეტრი იყო 20სმ, ამოჭრეს 8სმ პერიმეტრის მქონე კვადრატი. რას უდრის გამუქებული ფიგურის პერიმეტრი?



8. მართკუთხედის ფორმის მიწის ნაკვეთი დაყვეს 3 ნაწილად, ისე როგორც სურათზეა ნაჩვენები. იპოვე თითოეული ნაწილის პერიმეტრი:




9. მართკუთხედის გვერდებია 8სმ და 4სმ. მას დაადგეს ზემოდან იმავე ზომის მართკუთხედი. იპოვეთ მიღებული ფიგურის პერიმეტრი.




10. შეეცადე, დაასახელო სურათზე მოცემული ფიგურები. რით გვანან ისინი და რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისაგან?



11. რამდენი წვერო აქვს კონუსს? რა ფიგურაა კონუსის ფუძე? ცილინდრის ფუძე?



12. რომელია კუბის შლილი?



ტესტი N6 (სიდიდე - ქართული ფული)

1. ლუკამ 12 ფანქარსა და 9 საშლელში გადაიხადა 3 ლარი. რას გადაიხდის იგი 20 ფანქარსა და 15 საშლელში?
1) 5 ლარს 2) 8 ლარს 3) 15 ლარს 4) 20 ლარს
2. მამას ჰქონდა 280 ლარი. მან 80 ლარად მაგიდა შეიძინა, ხოლო დანარჩენი თანხით 5 ერთნაირი სკამი. რა ღირს 1 სკამი?
1) 40 ლარი 2) 45 ლარი 3) 50 ლარი 4) 55 ლარი
3. ეკას 3 ლარი აქვს. 6 ცალი საპონის ყიდვის შემდეგ რამდენი თეთრი დარჩება ეკას, თუ 1 ცალი საპონი 40 თეთრი ღირს?
1) 60 2) 70 3) 40 4) 50
4. დედამ იყიდა 3 ბოთლი ლიმონათი, თითოეული 2 ლარად, 2 კგ ვაშლი, თითოეული კგ 3 ლარად, 8 ცალი საპონი, თითოეული 1 ლარად. რამდენი ლარი გადაიხადა დედამ?
1) 18 ლარი 2) 20 ლარი 3) 19 ლარი 4) 22 ლარი
5. საბას აქვს 5 ცალი 10-თეთრიანი, 2 ცალი 50-თეთრიანი, 2 ცალი 5-თეთრიანი და სურს ეს თანხა გადაცვალოს 20-თეთრიანებში. სულ რამდენი 20-თეთრიანი ექნება საბას?
1) 8 2) 7 3) 6 4) 5
6. 4 რვეული ღირს 4 ლარი, 5 ფანქარი 1 ლარი. რა ღირს სულ 8 რვეული და 15 ფანქარი?
7. ჩასვი საჭირო რიცხვები ცარიელ უჯრებში:
15 ლარი 20 თეთრი = თეთრი;
7 ლარი 5 თეთრი = თეთრი;
25 ლარი 9 თეთრი = თეთრი;

8. გამოთვალე:

$$\begin{array}{ll} 14\text{ლ } 64\text{თ} + 7\text{ლ } 84\text{თ}; & 34\text{ლ } 5\text{თ} + 18\text{ლ } 80\text{თ}; \\ 18\text{ლ } 82\text{თ} + 19\text{ლ } 20\text{თ}; & 31\text{ლ } 65\text{თ} + 32\text{ლ } 60\text{თ}. \end{array}$$

9. რამდენი ლარი და რამდენი თეთრია?

$$1751\text{თ}; \quad 1913\text{თ}; \quad 1428\text{თ}; \quad 1567\text{თ}.$$

10. ნინოს 40 –ლარიანი ნიუთის ყიდვისას დარჩა 11 ლარი, ხოლო ნანას 70 –ლარიანი ნიუთის ყიდვისას დააკლდა 11 ლარი. რამდენი ლარით მეტი თუ ნაკლები თანხა აქვს ნინოს, ვიდრე ნანას?

11. ლუკამ იყიდა 300 ცალი ფანქარი და დარჩა 5 ლარი. მან თქვა: „კიდევ 5 ლარი რომ მქონდეს, კიდევ ვიყიდდი 200 ცალ ფანქარს“. რა ღირს ერთი ფანქარი? რამდენი ლარი ჰქონდა ლუკას თავდაპირველად?

12. ნინოს 5 ცალი 20-თეთრიანი და 3 ცალი 10-თეთრიანი მონეტა აქვს, ხოლო მარის 7 ცალი 10-თეთრიანი და 5 ცალი 20-თეთრიანი მონეტა. რამდენი თეთრით მეტი თუ ნაკლები თანხა აქვს მარის, ვიდრე ნინოს?

ტესტი №7 (სიდიდე – სიგრძე)

- 15კმ 350მ 8დმ + 8კმ 700მ 3დმ=
 - 1) 23კმ 51მ 1დმ
 - 2) 24კმ 50მ 2დმ
 - 3) 24კმ 51მ 1დმ
 - 4) 23კმ 50მ 11დმ
- 18დმ 9სმ 7მმ =
 - 1) 1897 სმ
 - 2) 1897 მმ
 - 3) 1897 დმ
 - 4) 1897 მ
- ავტომობილმა პირველ დღეს გაიარა 260 კმ, ხოლო მეორე დღეს პირველ დღეს გავლილი მანძილის ნახევარი. რამდენი კმ გაიარა ავტომობილმა ორივე დღეს?
 - 1) 390
 - 2) 360
 - 3) 130
 - 4) 120
- ორ ქალაქს შორის მანძილი 200 კმ-ია. თუ ავტომობილი ამ მანძილს 5 სთ-ში გაივლის, იგი 1 საათით დააგვიანებს. რამდენი კმ უნდა გაიაროს ავტომობილმა 1 საათში რომ დროულად ჩავიდეს დანიშნულ ადგილზე?
 - 1) 50 კმ
 - 2) 55 კმ
 - 3) 60 კმ
 - 4) 65 კმ
- რომელია სწორი?
 - 1) 8დმ 5სმ 2 მმ > 96სმ
 - 2) 1 მეტრის ნახევარი < 40სმ
 - 3) 9კმ-ის მესამედი > 2კმ 800მ
 - 4) 2მ-ის მეოთხედი > 50მ
- გამოსახე მეტრებში:


25კმ = ... მ;	35კმ 200 მ = ... მ;
15კმ = ... მ;	18კმ 120მ = ... მ.
- დააღაგე კლების მიხედვით:

8მ 9სმ;	88სმ;	80დმ;	8მ 7სმ;	806სმ
---------	-------	-------	---------	-------

8. ჭიანჭველამ A წერტილიდან B წერტილამდე 80მ გაიარა. რამდენ მ-ს გაივლის ჭიანჭველა:

☀ C წერტილიდან D წერტილამდე?

☀ B წერტილიდან D წერტილამდე?



9. ჩასვი საჭირო რიცხვები ცარიელ უჯრებში:

5 მ = სმ;

7 სმ = მმ;

10 დმ = სმ;

15 კმ = მ;

50 მ = მმ;


15 დმ = მმ.

10. რამდენი დმ-ია მონაკვეთის თითოეული ნაწილი, თუ მთელი მონაკვეთის სიგრძე 40 დმ-ია?



11. ირაკლის, გიორგის და ლუკას სიმაღლეები, შესაბამისად, არის: 2მ; 1მ 95სმ და 1მ 70სმ. იპოვე სხვაობა ყველაზე მაღალსა და ყველაზე დაბალ სიმაღლეებს შორის?

12. მონაკვეთი თანაბრად არის დაყოფილი. ჭიანჭველა მოძრაობს მონაკვეთზე და პირველი წერტილიდან მეხუთე წერტილამდე გაიარა 20მ. რამდენ მ-ს გაივლის ჭიანჭველა



☀ პირველი წერტილიდან მე-9 წერტილამდე?

☀ მე-5 წერტილიდან მე-10 წერტილამდე?

☀ A წერტილიდან B წერტილამდე?

ტესტი №8 (დრო)

1. რომელია ყველაზე დიდი?

- 1) 2სთ 40წთ 2) 150წთ 3) 1სთ 5წთ 4) 140წთ

2. რამდენი საათია 7 დღე-ღამე?

- 1) 84სთ 2) 90სთ 3) 168სთ 4) 164სთ

3. დღეს 8 მარტია და ორშაბათი. რა დღე იქნება 23 მარტი?

- 1) სამშაბათი 2) ოთხშაბათი 3) შაბათი 4) კვირა

4. რომელი წინადადებაა სწორი?

- 1) 8 საათი დღე-ღამის ნახევარია
2) 30 წუთი საათის მეოთხედია
3) 10 წუთი საუკუნის მეხუთედია
4) 4 თვე წელიწადის მესამედია

5. რა დროს უჩვენებს საათი? როგორ წარმოვთქვამთ?



13:45



6. შეავსე:

$$5\text{სთ } 8\text{წთ} = \square \text{ წთ};$$

$$3\text{სთ } 48\text{წთ} = \square \text{ წთ};$$

$$1\text{სთ } 5\text{წთ} = \square \text{ წთ};$$

$$185\text{წთ} = \square \text{ სთ } \square \text{ წთ};$$

$$200\text{წთ} = \square \text{ სთ } \square \text{ წთ};$$

$$350\text{წთ} = \square \text{ სთ } \square \text{ წთ}.$$

7. სკოლაში სწავლა იწყება 9 საათზე. ერთი გაკვეთილი გრძელდება 45 წუთს. შესვენება გაკვეთილებს შორის 10 წუთია. რომელ საათზე დაიწყება მესამე გაკვეთილი? მეოთხე გაკვეთილი?

8. შვილიშვილმა ჰკითხა ბაბუას, თუ რამდენი წლის იყო იგი. ბაბუამ უპასუხა: „მე თუ ვიცხოვრებ კიდევ ნახევარს იმისა, რაც მიცხოვრია, ვიქნები 90 წლის. რამდენი წლისაა ბაბუა?“
9. ბექამ გაკვეთილების მომზადებას სულ 3 საათი მოანდომა. მათემატიკის სწავლას მოანდომა მესამედი, ქართულის სწავლას მესამედი, ხოლო დანარჩენი დროის ნახევარი ბიოლოგიის სწავლას. რამდენი წუთი დაუთმო ბექამ ბიოლოგიის სწავლას?
10. რომელი საათი იქნება:
- 1) 13 საათის შემდეგ, თუ ახლა საღამოს 7 საათია?
 - 2) 8 საათის შემდეგ, თუ ახლა დილის 9 საათია?
 - 3) 12 საათის შემდეგ, თუ ახლა საღამოს 9 საათია?
11. ანამ დაიძინა საღამოს 10სთ-ზე და გაიღვიძა 7სთ-სა და 20წთ-ზე. რამდენ ხანს ეძინა ანას?
12. როცა შვილი 15 წლის იყო, მამა იყო 35 წლის. ახლა მამა 2-ჯერ უფროსია შვილზე. რას უდრის ახლა მამისა და შვილის ასაკთა ჯამი?

ტესტი N9 (მასა)

- რომელი წინადადებაა სწორი?
 - 100კგ-ის მეხუთედი 20კგ-ზე მეტია
 - 100კგ-ის მეათედი 15კგ-ზე ნაკლებია
 - 100კგ-ის ნახევარი 80კგ-ის მეოთხედია
 - 100გ არის 1კგ-ის მეასედი
- ერთ დღეში 5 ცხენის გამოსაკვებად 30 კგ თივაა საჭირო. რამდენი კგ თივა დასჭირდება 8 ცხენს სამ დღეში?
 - 140 გ
 - 144კგ
 - 146კგ
 - 150კგ
- 100 კგ მარილწყალი შეიცავს 50 გ მარილს. რამდენ გ მარილს შეიცავს 400 კგ ასეთივე მარილწყალი?
 - 200 გ
 - 150 გ
 - 100 გ
 - 250 გ
- ერთ დღეს მაღაზიაში გაიყიდა 1200კგ ვაშლი, ხოლო მეორე დღეს 100-ჯერ ნაკლები. რამდენი კგ ვაშლი გაიყიდა ორივე დღეს მაღაზიაში?
 - 1112 კგ
 - 1212კგ
 - 1221 კგ
 - 1122 კგ
- თაფლის სავსე ჭურჭელი იწონის 15კგ-ს, ხოლო ნახევრად სავსე ჭურჭელი 8კგ-ს. რას იწონის ცარიელი ჭურჭელი?
- ჩაწერე საჭირო რიცხვები წერტილების ნაცვლად:

8კგ = გ;	120კგ = გ;
6ტ = კგ;	12ტ = კგ;
9ც = კგ;	34ც = კგ;
8ტ = ც;	40ტ = ც;
1320გ =კგ გ;	2780გ = კგ გ;
2520კგ =ტ კგ;	7770კგ =ტ კგ;
3530ც = ტ კგ;	5307ც = ტ კგ;

7. შეასრულე მოქმედებები:

$$15\text{კგ } 820\text{გ} + 18\text{კგ } 900\text{გ};$$

$$125\text{კგ } 325\text{გ} + 28\text{კგ } 245\text{გ};$$

$$80\text{ტ } 700\text{კგ} + 17\text{ტ } 100\text{კგ};$$

$$10\text{ტ } 4\text{ც} + 80\text{ტ } 9\text{ც};$$

$$25\text{კგ } 500\text{გ} - 9\text{კგ } 500\text{გ};$$

$$700\text{კგ } 108\text{გ} - 100\text{კგ } 120\text{გ};$$

$$12\text{ტ } 500\text{კგ} - 10\text{ტ } 400\text{კგ};$$

$$170\text{ტ } 3\text{ც} - 40\text{ტ } 4\text{ც};$$

8. ანა, ლალი, ნინო, ეკა, მაგდა ამ თანმიმდევრობით დგანან მწკრივში. თითოეული მის მარჯვნივ მდგომზე 8კგ-ით მძიმეა. ნინო 50კგ-ს იწონის. რას უდრის ხუთივეს წონა?
9. წყლით სავსე ჭურჭელი იწონის 30კგ-ს, ხოლო ნახევრად სავსე 17კგ-ს. რამდენ კგ-ს იწონის ცარიელი ჭურჭელი? რამდენი კგ წყალი ეტევა ამ ჭურჭელში?
10. ერთი კოლოფი კანფეტი იწონიდა 500გ-ს. მას შემდეგ რაც შეჭამეს კოლოფში მოთავსებული კანფეტების ნახევარი, კოლოფი კანფეტებიანად იწონიდა 300გ-ს. რამდენი გ-ია ცარიელი კოლოფი?
11. ერთი სატვირთო მანქანით გადაიტანეს 4ტ 5ც სილა, ხოლო მეორე სატვირთო მანქანით, 1ტ 2ც-ით ნაკლები. რამდენი სილა გადაიტანეს მეორე სატვირთო მანქანით? ორივეთი?
12. 1 ვაშლი იწონის იმდენს, რამდენსაც 5 მსხალი, ხოლო 1 მსხალი იწონის იმდენს, რამდენსაც 3 ლიმონი. რამდენ ლიმონს იწონის 1 ვაშლი? 5 ვაშლი? 10 ვაშლი?

ტესტი N10 (შესაბამისობა, დამოკიდებულება)

1. რომელი წინადადება აღწერს შესაბამისობას?

$$5 \rightarrow 5 \cdot 2 + 3$$

$$6 \rightarrow 6 \cdot 2 + 4$$

$$7 \rightarrow 7 \cdot 2 + 5$$

1) რიცხვს შეესაბამება, ამ რიცხვის გაორკეცებულს დამატებული ეს რიცხვი

2) რიცხვს შეესაბამება ამ რიცხვის გასამკეცებულს დამატებული ეს რიცხვი

3) რიცხვის შეესაბამება ამ რიცხვის გაორკეცებულს დამატებული ამ რიცხვზე 2-ით ნაკლები რიცხვი

4) რიცხვს შეესაბამება ამ რიცხვის გაორკეცებულს დამატებული 4

2. რომელი შესაბამისობა არღვევს კანონზომიერებას?

$$1) 5 \rightarrow 5 \cdot 10 + 15$$

$$3) 7 \rightarrow 7 \cdot 10 + 21$$

$$2) 6 \rightarrow 6 \cdot 10 + 18$$

$$4) 8 \rightarrow 8 \cdot 10 + 40$$

3. ოსტატმა 6 საათში 60 დეტალი გამოიარხა. რამდენ საათში გამოიარხავს ოსტატი 150 დეტალს, თუ იგი საათში 5 დეტალით მეტს გამოიარხავს? ღომელი რიცხვითი გამოსახულება შეესაბამება ამოცანის ამოხსნას?

$$1) 150 : (60 : 6 + 5)$$

$$3) 150 : (60 : 6 - 5)$$

$$2) 150 : (60 : 6) : 5$$

$$4) 150 : (60 : 6) + 5$$

4. დაუკვირდი პირველი სტრიქონის რიცხვებს. რა რიცხვი უნდა ეწეროს ცარიელ ბარათზე?

20

48

28

15

50

--

1) 35

2) 30

3) 25

4) 20

5. 720 მეტია 100-ზე 620-ით ნიშნავს:

1) $720 > 100+620$

3) $720 > 620-100$

2) $720 = 100 + 620$

4) $720 = 620 - 100$

6. აღწერე შესაბამისობა და დაასრულე ცხრილი:

17	8	9		14		27
20	11		30		20	

7. თითოეულ ერთნიშნა რიცხვს შეუსაბამე მისი ორმაგი რიცხვი. შედეგები გამოსახე ცხრილში.

1	2	3	4	5	6	7	8	9
			8					

8. ყოველ რიცხვს შეუსაბამე 3-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთები და შეავსე ცხრილი:

<i>a</i>	10	11	12	13	14	15
ნაშთი						

9. სანდრო *a* წლის წინ იყო 18 წლის. რამდენი წლის იქნება სანდრო 5 წლის შემდეგ? *a* წლის შემდეგ?

10. ნიკამ რიცხვებს შეუსაბამა 7-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთები. რომელ შემთხვევაში შეცდა ნიკა?

1) $47 \rightarrow 5$


2) $72 \rightarrow 2$

3) $29 \rightarrow 3$

4) $81 \rightarrow 4$


11. სამშენებლო ბაზიდან გაიტანეს 15 სატვირთო ავტომანქანით ქვიშა, თითოეულით 3ტ, ამის შემდეგ სამშენებლო ბაზაში დარჩა 60ტ ქვიშა. რა შეიძლება გავიგოთ, თუ გამოვთვლით შემდეგი რიცხვითი გამოსახულებების მნიშვნელობას? შეუსაბამე სათანადო კითხვები.
 $15 \cdot 3;$ $60:3;$ $3 \cdot 15 + 60;$ $60 - 3 \cdot 15;$

12. შესაბამისობა მოცემულია ისრებით; დაასრულე იგი:



ტესტი №11 (ორიენტირება და მიმართულება)

სურათის მიხედვით უპასუხე 1-3 კითხვას:



1. ხუთკუთხედის კოორდინატებია:


- 1) (ბ; 2) 2) (6; ე) 3) (ბ; 6) 4) (2; დ)

2. რომელი საგნის კოორდინატებია (7; ზ)?

- 1) სტაფილოს 2) კვადრატის 3) ხუთკუთხედის 4) წრის

3. ჩახატე ექვსკუთხედი ისე, რომ მისი პირველი კოორდინატი ტოლი იყოს საზამთროს პირველი კოორდინატის, ხოლო მეორე კოორდინატი კი კვადრატის მეორე კოორდინატის.

5. რა რიცხვი უნდა ეწეროს A-ს ქვევით?




- 1) 2150 2) 2200 3) 2250 4) 2300

6. მწკრივში დგას მოსწავლეები. ეკამ შეამჩნია, რომ იგი მწკრივის შუაშია. რამდენი მოსწავლე შეიძლება იყოს მწკრივში?


- 1) 14 2) 18 3) 21 4) 20

7. რომელია ყველაზე მეტი?




- 1) $a+b$ 2) a 3) $b+c$ 4) c

8. ჭიანჭველა მოძრაობს A წერტილიდან B წერტილში. ჭიანჭველამ A-დან C-მდე 40მ გაიარა. რამდენ მ-ს გაივლის ჭიანჭველა A-დან B-მდე?



9. დაწერე პირველი ორი რიცხვი:




9. ხოჭო მიწაში ჩარტობილ სარზე მიცოცავდა. მიწაში სარის ქვედა ბოლოდან 6დმ-ით აცოცების შემდეგ ხოჭო მიწის ზედაპირზე აღმოჩნდა. კიდევ ამდენივეთი აცოცების შემდეგ ის როკთან აღმოჩნდა, ზედა წვერომდე კი 7დმ დარჩა. რა სიგრძის ყოფილა სარი?

10. რას უდრის მარჯვენა მართკუთხედის პერიმეტრი, თუ მარცხენა მართკუთხედის პერიმეტრია 36მ?



ტესტი №12 (მონაცემი, მონაცემთა ანალიზი)

1. ირაკლიმ იყიდა შემდეგი ხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი, ბანანი. დიაგრამაზე მოცემულია, თუ რომელი ხილი რა რაოდენობით იყიდა ირაკლიმ.




- ❖ რამდენი კგ ვაშლი იყიდა ირაკლიმ?
- ❖ რამდენი კგ ბანანი იყიდა ირაკლიმ?
- ❖ ყველაზე მეტი რომელი ხილი იყიდა ირაკლიმ? ყველაზე ცოტა?
- ❖ რამდენი კგ-ით მეტი ბანანი იყიდა, ვიდრე ატამი?
- ❖ სულ რამდენი კგ ხილი იყიდა ირაკლიმ?

2. ანამ მარკეტში შეიძინა საკვები პროდუქტები. ცხრილში მოცემულია ანას მიერ შეძენილი პროდუქტები, მათი ფასი და რაოდენობა. დაამთავრე ცხრილის შევსება და უპასუხე კითხვებს:

	1 კგ-ის ფასი	რაოდენობა	ღირებულება
შაქარი	2 ლ	14 კგ	
კარაქი	8 ლ 50 თ	2 კგ	
ვაშლი	4 ლ	5 კგ 500 გ	
ატამი	3 ლ	1 კგ 500 გ	


- ❖ რომელი პროდუქტი იყიდა ანამ ყველაზე მეტი?
- ❖ რომელ პროდუქტში გადაიხადა ყველაზე მეტი? ყველაზე ცოტა?
- ❖ რა თანხა დასჭირდა ანას სულ?
- ❖ თუ ანა გამყიდველს მისცემდა 50-ლარიანს, რამდენს მიიღებდა ხურდას?

3. დიაგრამაზე მოცემულია მაღაზიაში ერთი კვირის განმავლობაში გაყიდული ტელევიზორების რაოდენობები.



- ❁ რომელ დღეს გაიყიდა ყველაზე მეტი ტელევიზორი?
- ❁ რომელ დღეებში არ გაიყიდა არც ერთი ცალი?
- ❁ რომელ დღეებში გაიყიდა თანაბარი რაოდენობის ტელევიზორები?
- ❁ რომელ დღეს გაიყიდა 15 ცალი? 20 ცალი?
- ❁ რამდენი ტელევიზორი გაიყიდა სულ?

4. დიაგრამაზე წარმოდგენილია მონაცემები ერთ-ერთ მაღაზიაში, თუ რამდენი კგ ხილი გაიყიდა. უპასუხე შეკითხვებს:



- ❁ მაღაზიაში რამდენი კგ გაიყიდა ვაშლი? მსხალი? ატამი?
- ❁ რომელი ხილი უფრო მეტი გაიყიდა? უფრო ცოტა?
- ❁ ვაშლი და მარწყვი ერთად რამდენით ნაკლები გაიყიდა, ვიდრე მსხალი და ატამი ერთად?
- ❁ სულ რამდენი კგ ხილი გაიყიდა?

5. ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები გამოკითხეს იმის შესახებ, თუ ვის რომელი სპორტი უყვარდა. მონაცემები მოათავსეს ცხრილში. "○" უჩვენებს 10 მოსწავლეს, „|“ – 1 მოსწავლეს. შეავსე ცხრილის ბოლო სვეტი. ჩაწერე შესაბამისი რაოდენობები და ააგე სვეტოვანი დიაგრამა.

ფეხბურთი	○○○○	
ხელბურთი	○○○	
კალათბურთი	○○	
ჭადრაკი	○	


- ❖ რამდენი მოსწავლე გამოიკითხა სულ?
 - ❖ რამდენ მოსწავლეს უყვარს ფეხბურთი? ხელბურთი? ჭადრაკი?
 - ❖ რამდენ მოსწავლეს არ უყვარს კალათბურთი? ფეხბურთი?
 - ❖ რამდენი მოსწავლით მეტს უყვარს ხელბურთი, ვიდრე ჭადრაკი?
 - ❖ გამოკითხულთა შორის რომელია ყველაზე პოპულარული სპორტი?
6. ცხრილში მოცემულია ერთ-ერთ საკურორტო ბაზაზე ტურისტების რაოდენობა თვეების მიხედვით:

ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი
200	400	700	600

ცხრილის მიხედვით ააგე სვეტოვანი დიაგრამა. უპასუხე კითხვებს:


- ❖ რომელ თვეში ესტუმრა ყველაზე მეტი ტურისტი კურორტს?
- ❖ სექტემბერში უფრო მეტი ტურისტი ესტუმრა კურორტს თუ აგვისტოში? რამდენით?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა ყველაზე მცირე?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა 350-ზე ნაკლები?
- ❖ რომელ თვეში იყო ტურისტთა რაოდენობა 600-ზე მეტი?

7. სვეტოვან დიაგრამაზე გამოსახულია კვირის განმავლობაში ყოველდღიურად გაყიდული მანქანების რაოდენობა.



- ❁ რომელ დღეს გაიყიდა 5 მანქანა? 4 მანქანა?
- ❁ სულ რამდენი მანქანა გაიყიდა?
- ❁ ყველაზე ბევრი მანქანა რომელ დღეს გაიყიდა?
- ❁ ერთნაირი რაოდენობის მანქანები რომელ დღეებში გაიყიდა?

8. ნიკამ გამოკითხა მისი სკოლელები, ვინ როგორ ატარებს თავისუფალ დროს და შეგროვებული მონაცემების მიხედვით ააგო სვეტოვანი დიაგრამა. უპასუხე კითხვებს:




- ❁ სულ რამდენი მოსწავლე გამოკითხა ნიკამ?
- ❁ ყველაზე ბევრი სად ატარებს თავისუფალ დროს? ყველაზე ცოტა?
- ❁ რამდენი მოსწავლით მეტია დაკავებული თავისუფალ დროს კომპიუტერით, ვიდრე კითხვით?
- ❁ რამდენი მოსწავლით ნაკლებია დაკავებული თავისუფალ დროს ეზოში თამაშით, ვიდრე კითხვით?

9. მაღაზიამ სამ დღეში გაყიდა გარკვეული რაოდენობის ვაშლი, მსხალი, ატამი. ცხრილში მოცემულია მაღაზიაში სამ დღეში გაყიდული ხილის რაოდენობები კგ-ებში. ცხრილის მიხედვით ააგეთ სვეტოვანი დიაგრამა და უპასუხე კითხვებს:

	ვაშლი	მსხალი	ატამი.
ორშაბათი	300	200	200
სამშაბათი	500	400	800
ოთხშაბათი	200	200	400

- ❁ რამდენი კგ ხილი გაყიდა სულ მაღაზიამ სამ დღეში?
- ❁ რამდენი კგ ვაშლი გაყიდა სამ დღეში? მსხალი? ატამი?
- ❁ რომელ დღეს გაყიდა მაღაზიამ მსხალი ყველაზე მეტი?
- ❁ ყველაზე მეტი რომელი ხილი გაიყიდა ამ სამ დღეში?
- ❁ რომელ დღეს გაყიდა მაღაზიამ მსხალი და ატამი ერთნაირი რაოდენობის?
- ❁ რამდენი კგ-ით მეტი ატამი გაიყიდა ოთხშაბათს, ვიდრე მსხალი?

10. ჰაერის ტემპერატურას აკვირდებოდნენ 10 დღის განმავლობაში დღის 3 საათზე და თერმომეტრის მონაცემების მიხედვით ააგეს სვეტოვანი დიაგრამა. დასვი კითხვები და უპასუხე დიაგრამის მიხედვით.



ტესტი N13 (განტოლება)

1. რომელია განტოლება შემდეგ ჩანაწერებს შორის?

1) $875:5=170+5$

3) $378 < 200+10-14$

2) $x+200=500$

4) $1218:2+170\cdot5$

2. რას უდრის $x+5$, თუ $x:8-220=3$

1) 1791

2) 1789

3) 1784

4) 1798

3. რას უდრის $x+3$, თუ $1200:x=120$

1) 10

2) 13

3) 14

4) 15

4. იპოვე უცნობი რიცხვი:

$\square + 347 = 518;$

$\square + 400 = 602;$

$9170 - \square = 1800;$

$314 + \square = 810;$

$21 + \square = 810;$

$514 - \square = 1.$

$\square - 140 = 180;$

$\square - 180 = 0;$

$564 - \square = 0.$

5. იპოვე უცნობი:

$(x + 72):2 = 900;$

$x \cdot 10 \cdot 50 = 2500;$

$81:(15 - 2x) = 9;$

$700:x - 3 = 7;$

6. რომელი კომპონენტია უცნობი?


$x + 13 = 54;$

$130 + x = 200;$


$54 - x = 18;$

$x - 50 = 100$


7. საზამთრო იწონის ნახევარ საზამთროს და 9კგ-იან საწონს. რამდენ კგ-ს იწონის საზამთრო?



8. სასწორის ერთ თევშზე დევს საზამთრო და 5კგ-იანი საწონი. ხოლო მეორე თევშზე 2 ცალი 5კგ-იანი საწონი. რას იწონის საზამთრო?



9. ჩასვი სათანადო რიცხვები:



10. ჩაწერე უჯრებში რიცხვები ისე, რომ სწორი ტოლობა მიიღო:
- $$(8 + \square) \cdot 3 = 8 \cdot 3 + 30; \quad (\square + \square) \cdot 10 = 80 + 60;$$
- $$(7 + \square) \cdot 6 = 7 \cdot 6 + 18; \quad (9 + 3) \cdot \square = 45 + 15.$$